პერსონალური მონაცემების დაცვა

თამარ ქალდანი

თემა **3. მონაცემთა დამუშავების პრინციპები**

საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ - მუხლი 4

I პრინციპი

სამართლიანობა და კანონიერება

„კანონიერება“ გულისხმობს მონაცემთა [illegible] ცესის შესაბამისობას ქვეყნის მოქმედ კანონმდებ[illegible]

„სამართლიანობა“ არის მონაცემთა დამუშავების პროცესში ერთგვაროვანი და თანაბარი სტანდარტებისა და მიდგომის არსებობა;

II პრინციპი

- მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის.
- დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.

III პრინციპი

ადეკვატურობა და პროპორციულობა

მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მი[illegible]ვ.

! ე.წ. „მონაცემთა მინიმიზაციის“ პრინციპი

მონაცემებ[illegible]ის ძიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევად[illegible] უ[illegible]ავდება ისინი.

IV პრინციპი

ნამდვილობა, სიზუსტე და განახლება

მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს.

კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს;

V პრინციპი

მონაცემთა შენახვის ვადა

მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.